№ 213 10 ქრისტეშობისთვე, შაბათი 1866—1877 10 ქრისტეშობისთვე, შაბათი № 213

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43.

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთი თვისა—1 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** წვრილ-ასოებით ასოზე—[illegible] კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## რედაქციისაგან

—

თუმცა რამდენჯერმე გამოვაცხადეთ, რომ გაზეთი ამ თავითვე ფულის შემოუტანელად არავის გაეგზავნება-მეთქი, მაგრამ ამ დღეებში მაინც კიდევ რამდენიმე პირისაგან მივიღეთ მოთხოვნილება, რომ უმორჩილესად გთხოვთ მომავალი წლისთვის „დროება" გამოგვიგზავნეთო და ფულს თავის დროს მიიღებთო.

ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ ამ ცალკე განცხადებით ვაცნობოთ ყველას, რომ, თუ არ აგენტების საშუალებით, ისე მომავალის წლის გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.

---

უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს აგენტებსა და ხელის-მომწერლებს, რომელთაც წლევანდელი გაზეთის ანგარიში დღემდინ არა აქვთ გასწორებული, რაც შეიძლება მალე გაასწორონ და ხვედრი ფული გამოგზავნონ.

---

# ტელეგრამმები

—

### ბრძოლის ველიდამ

**ბოგოტი,** 6 დეკემბერს. (ოფიციალური). თითქმის ყველა ჯარები ოსმალეთისა, რომელიც პლევნოში დავატყვევეთ, გაგზავნილია ამ ჟამად რუსეთში. ოსმან-ფაშა გუშინ გავგზავნეთ.

პლევნოში დატყვევებული ოსმალოს ჯარებიდამ ორი ფაშა და 2,000 სალდათი რუმინიას გადავეცით.

**ბოგოტი,** 7 დეკემბერს. (ოფიციალური. შიპკოსთან ჩვენმა ჯარებმა ტელეგრაფის ლინია ჩაიგდეს ხელში; ელენადამ ბებროვომდინ დავატყვევეთ რამდენიმე ოსმალოს სალდათი, ავიღეთ ბებროვო და ახმეტლიმდინ მივედით. ჩვენის მხრით 12 კაცია მოკლული. ჩვენმა ჯარებმა დააქრეს ელენაში ცეცხლი, რომელიც ოსმალოებმა გააჩინეს; მარტო 40 სახლი დაიწვა.

**კელნი,** 8 დეკემბერს. ამბობენ, გერმანიის მმართებლობას ოსმალეთისაგან თხოვნა მოუვიდაო, რომ იმის და რუსეთის მორიგების თაობაზე შუამავლობა იკისროსო, და გერმანიამ უპასუხაო, რომ ის არ გაერევა ამ საქმეში და თუ პორტას ჰსურს, შეუძლიან პირ-და-პირ რუსეთს მიმართოსო. ამბობენ აგრეთვე, ვითომ ავსტრიამაც ამგვარივე პასუხი მისწერა ოსმალეთსაო.

**პარიჟი,** 8 დეკემბერს. ხმა არის, რომ ინგლისის მმართებლობა ცდილობსო, რომ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებმა მიიღონ მონაწილეობა რუსეთსა და ოსმალეთს შუა მორიგების თაობაზე მოლაპარაკებაშიო.

**სტამბოლი,** 8 დეკემბერს. სულეიმან-ფაშა ამ ჟამად აქ არის.

**პარიჟი,** 4 დეკემბერს. არცერთმა სახელმწიფომ კმაყოფილებით არ მიიღოხ ოსმალეთის თხოვნა, რომ ევროპის სახელმწიფოებს ეკისრათ შუამავლობა რუსეთისა და ოსმალეთის მორიგების თაობაზე. ავსტრიაში და გერმანიაში ჰფიქრობენ, რომ მორიგება ისე არ მოხდებაო, თუ ოსმალეთმა რომელიმე თავის ნაწილი არ დაუთმო რუსეთსაო.

**პეშტი,** 4 დეკემბერს. აქაურები (ვენგრიელები) დიდ თანაგრძნობას უცხადებენ ოსმალეთს.

**ათინა,** 4 დეკემბერს. ხალხი აღელვებულია; ყველანი თხოულობენ, რომ საბერძნეთმა ოსმალეთს მალე ომი გამოუცხადოს.

**პარიჟი,** 2 დეკემბერს. მარშალმა მაკ-მაჰონმა გამოსცა ეპისტოლე, რომელიც ნაციონალურ კრებაში წაიკითხეს და რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ის ემორჩილება ხალხის კენჭის-ყრას.

ამ ეპისტოლეს პასუხში, რომელიც ნაციონალურმა კრებამ შეადგინა, სხვათა შორის, გამოყვანილია, რომ საფრანგეთი აღიარებს მხოლოთ მინისტრების პასუხის-გებას და არა რესპუბლიკის პრეზიდენტისას. ამას გარდა აქვე მოხსენებულია, რომ ნაციონალურ კრებას იმედი აქვსო, რომ, სანამ მარშალ მაკ-მაჰონს პრეზიდენტობის ვადა არ შეუსრულდება (1880 წ.), მანამ ამ კრების მეორედ დათხოვნა საჭირო აღარ იქნებაო.

---

# ომის ამბები

—

### აზიის ბრძოლის ველიდამ

ოზურგეთიდამ მივიღეთ ჩვენ გუშინ შემდეგი წიგნი 4 დეკებრს დაწერილი:

„ნამდვილად, რასაკვირველია, არავინ არა იცის-რა, მაგრამ აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ ამ რამდენიმე დღის განმავალობაში ჩვენი ჯარები, (ქობულეთის ატრიადი), რომელიც ამ ჟამად ხუც-უბანზედ არის დერვიშ-ფაშასაგან ახლად დატოვებულს ჩინებულს ზანაკებში გაჩერებული, წინ გაიწევენ და ციხის-ძირს მიადგებიანო.

„ეს ხმა უფრო იმიტომ გავრცელდა ჩვენში და უფრო იმიტომაც სჯერა ყველას, რომ, როგორც ნამდვილად ამბობენ, დერვიშ-ფაშა მომეტებული ნაწილი თავის ჯარებით არზრუმიდამ დაუბარებიათ და იქ წასულა, და ციხის-ძირი ახლა ისრე მაგრად აღარ იქნება დაიარაღებული და დაცული მტრისაგან, როგორც შარშან ივლისში იყოვო."

„ამას ამბობენ; მაგრამ ნამდვილსაც ყველაფერს მალე შევიტყობთ და გაცნობებთ."

—

ინგლისურს გაზეთს „Daily Telegraph"-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, რომელიც ამ გაზეთს 29 ნოემბერს მოსვლია არზრუმიდამ:

„მუხთარ-ფაშას მოუვიდა აქ ახალი ჯარები დიარბეკირიდამ და ტრაპიზონიდამ (სტამბოლიდამ ხომალდებით გამოგზავნილი). იმას სრული იმედი აქვს ახლა, რომ ამ გაზაფხულამდინ გაუძლებს მტერს. ამაში ყველაზე უფრო იმას ეს საშინელი თოვლი და სიცივეები უწყობს ხელს, რადგან რუსებს ყარსიდამ და ალექსანდრაპოლიდამ ჯარებისა და სამხედრო მასალების (განსაკუთრებით ზარბაზნების) მიღება ერთობ უძნელდებათ. გაზაფხულისათვის კი მუხთარ-ფაშა კიდევ ახალ ჯარებს მოელის და ამნაირად იმედოვნებს, რომ რუსებს არზრუმს იქით

(სტამბოლისა და ტრაპიზონისაკენ) აღარ გაუშვებს.“

—

მეორე ინგლისური გაზეთის „Daily News“-ის ყარსელი კორრესპონდენტი შემდეგ ამბავს იწერება საზოგადოთ მცირე აზიის ბრძოლის შესახებ:

„აქეთკენ ყველასი ყურადღება ამ ჟამად არზრუმზედ არის მიქცეული. შექველია, რომ რუსები ამ მოკლე ხანში განიზრახვენ ამ ქალაქის აღებას, რადგან მთელი ამ ზამთრის განმავალობაში ჯარებს იქ გაჩერება არ შეუძლიანთ.

„სოღანლუღის მთებზე საშინელი ღრმა თოვლი სძევს ასე, რომ ამ ჟამად რუსებს თითქმის სრულებით ვერ გადააქვთ არზრუმისაკენ ზარბაზნები; ჯარების გადაყვანაც ძალიან გაძნელებულია და თუ გადადიან, ისიც იმიტომ რომ მეტი გზა არ არის, და რუსის სალდათს ყველაფრის ატანა შეუძლიანთ, თუ კი უბრძანეს.“

—

ესვე კორრესპონდენტი ყარსის ახლანდელის მდგომარეობის თაობაზე იწერება:

„ყარსში ამ ჟამად სრული მშვიდობიანობა და მყუდროება ჰსუფევს. აქაური მაჰმადიანები ჯერ-ჯერობით ძალა-უნებურად დაწყნარებულნი არიან; მაგრამ, როგორც ვატყობ, დიდი იმედი აქვთ, რომ მალე მოეშველება ყარსს მუხთარ-ფაშა და ამათაც გაანთავისუფლებს გიაურების ბატონობისაგან.

„თუ ეს ოცნება არ აუსრულდათ, თუ რუსებმა არზრუმი აიღეს, მაშინ ყარსის მაჰმადიანები, როგორც ამბობენ, ყველაფერს, რაც გააჩნიათ, გაჰყიდონ და ოსმალეთში გადაესახლებიან.

„ჯარის სურსათი და საზოგადოთ თითქმის ყოველ გვარი ხორაგეული და საქონელი აქ ამ ჟამად ალექსანდრაპოლიდამ მოაქვთ რუსის სომხებს, რომელნიც მართალი უნდა სთქვას კაცმა, ერთობ უსინიდისოთ სარგებლობენ ახლანდელი ომიანობითა და ხალხის გაჭირებით; რაც თვითონ უჯდებათ, ერთისამად, ერთი-ხუთად ჰყიდიან ყველაფერს და ამ ნაირად იგებენ, მდიდრდებიან....

„ძალიან ბევრი ავათმყოფებია ამ ჟამად ყარსის სამხედრო ლოშპიტლებში.

„ზოგიერთი ინგლისის ექიმები ამ დღეებში ბათუმისაკენ გაგზავნეს.“

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი ამ ნაირად აგვიწერს ელენასთან ოსმალოების გამარჯვებას:

„პირველად ოსმალოებისაგან გავიგეთ, რომ იმათ დაამარცხეს ელენესთან რუსები (ღენ. სვიატოპოლკ-მირსკის ატრიადი). ეს ამბავი ნამდვილი გამოდგა. მართლაც ელენასთან და მარენთან რუსები კარგათ დამარცხებულან. ოსმალოებს წაუთმევიათ მტრისავის 11 ზარბაზანი; რუსების მხრით უკანასკნელი 3,000 კაცამდინ არის აქ დახოცილი და დაჭრილი; ამას გარდა 300 კაცი ტყვედ აუყვანიათ ოსმალოებს.

„ამ დამარცხებამ რუსებს დაუკარგა ელენას გარდა ხანკიოის გადასავალი ბალკანზე და თუ ოსმალოები მარჯვეთ მოიქცნენ მდ. ლომზე, მაშინ შესაძლებელია, რომ იმათ მოაშორონ ერთმანეთს მემკვიდრის არმია და ის რუსის გარნიზონი, რომელიც ამ ჟამად ტირნოვოში დგას.“

—

„ვოლფის სააგენტოში“ იწერებიან 24 ნოემბერს სტამბოლიდამ:

„გუშინ ოსმან-ბაზარიდამ ყეზროვისაკენ წავიდა ოსმალოს ერთი დივიზია, რომელსაც სალეკო-ფაშა მიუძღოდა წინ. ყეზროვოს რო მიადგნენ, ნახეს, რომ ეს ქალაქი რუსის ცხენოსანი ჯარისაგან იყო დაჭერილი. ცოტა ხნის სროლის შემდეგ, ამ რუსის ჯარმა მიატოვა ქალაქი და საჩქაროთ წავიდა აქედამ, რადგან შეეშინდათ, ოსმალოს ჯარი გარს არ შემოგვეხვიოსო. სალეკო-ფაშამ დაიჭირა ეს ქალაქი. რუსები კი ტირნოვოში დაბრუნდნენ.

„სულეიმან-ფაშის მთავარი კვარტირა ამ ჟამად ელენაშია.

—

ვენის კორრესპონდენტი გაზეთის „Times“-ისა შემდეგ ამბავს იწერება:

„ლომ-პალანკაში მყოფ რუმინიის დივიზიის უფროსს ბრძანება მოუვიდა, რომ ვიდინისაკენ ჯერ ნუ გაიწევს, მოუცადოს სერბიის ჯარების მთავარ-სარდალს ხორვატოვიჩს, რომელიც თავის ჯარებით აგრეთვე ვიდინზედ მიდის.

„ვიდინის მაჰმადიანები ყველანი, ვისაც კი თოფ-იარაღის ხმარება შეუძლიანთ, მოწვეულნი არიან ბრძოლის ველზე გამოსასვლელად; ამათ ციხეში ურიგებენ თოფებს. ნამდვილად ამბობენ, რომ ამ ციხე-ქალაქის დასაცველად 12,000 ჯარი ჰყავს ამ ჟამად აქ ოსმალოსაო.“

—

სტამბოლში მიუღიათ 29 ნოემბერს შემდეგი დეპეშა მეჰმედ-ალი-ფაშისაგან:

„ჩვენი და რუსის ჯარები ჯერ-ჯერობით თავიანთ პოზიციებზე დგანან. ჩვენცა და ისინიც სიმაგრეებს ვაკეთებთ და ერთმანეთს უცდით, ანუ უკეთა ვსთქვათ, უცდით, როცა გამოიდარებს და რაიმე სამხედრო მოქმედების დაწყებას მოვახერხებთ.“

—

ყველა უცხო ქვეყნის გაზეთები ერთხმად ამტკიცებენ ახლა, რომ ოსმან-ფაშას თითქმის სრულიად გამოლეული ჰქონდა პლევნოში თავის ჯარისათვის საზრდოო და ეს იყო იმის მიზეზიო, რომ იმან ასე საჩქაროთ მოინდომა რუს-რუმინების არმიის გაპობა და პლევნოდამ გამოსვლაო.

—

## საქართველო

### დღიური

*** ნამდვილი ზამთრის დღეები დადგა ჩვენს ქალაქში; ეს სამი დღეა, თითქმის გაუწყვეტლივ თოვს; ქალაქელებს სანები ელირსათ; თავ-პირის მტვრევაა ამ მცოცავი მატარებლის შოვნისათვის...

მაგრამ თავ-პირს სხვა ფრივაც იმტვრევენ ქალაქელები: ტროტუარები და ქუჩები ისეთ ნაირად გაყინულია, რომ კაცს სიარული უძნელდება და ამის გამო თითქმის ყოველ ნაბიჯზე მოსიარულეს ფეხი უცდება და ვარდება...

სხვა მრავალთა შორის, ჩვენი გაზეთის დამტარებელიც დაეცა გუშინ, ფეხი იტკინა და ნურას უკაცრავათ, თუ ამის გამო გუშინდელი ნომერი „დროებისა“ ქალაქის ზოგიერთ ხელის-მომწერლებს დანიშნულ საათზე ვერ მიუვიდათ...

*** საზოგადო ჩვეილი არ ისპობა ჩვენს ქალაქში სიძვირეზედ. ყველანი ემდურებიან ახლანდელ დროს; „ამისთანა სიძვირეს არ მოვსწრებივართო!“ ამბობენ 60—70-ის წლის მოხუცებულები.

რასაკვირველია, რომ ყველაზე უფრო ამ სიძვირეს ქალაქის ღარიბი ხალხი გრძნობს. მოდი და ნუ იგრძნობ, ნუ იჩივლებ, როდესაც ურემი შეშა თოთხმეტ მანეთად იყიდება და ლიტრა ხორცი თოთხმეტ შაურ—ოთხ აბაზათ.

ველით, ვუცდით, რომ ჩვენი ქალაქის გამგეობა, რომელიც ყოველ ორშაბათობით გვპირდება ამ სიძვირეზე მოლაპარაკებას, ერთს რამე ღონის-ძიებას მიიღებს და ცოტაოდენ სალავათს მაინც მისცემს ჩვენ გაჭირვებულ ხალხს, —ვუცდით, მაგრამ არ იქნა, ჩვენი მოლოდინი სულ ტყუილ-უბრალოთ ხდება.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ სომხური გაზეთი „მშაკი“ მომავალი წლიდამ მუდამ დღე გამოვა.

*** ჩვენ მოგვივიდა ამ დღეებში გორიდამ შემდეგი შენიშნვა:

„ბევრმა გაიძლო მუცელი, ბევრმა გაიმაგრა წელ ი, ამ ომიანობის გამო, არა თუ მარტო ვაჭრებმა, ზოგმა და ზოგმა ინტენდანტის ნაწილის მოსამსახურე ჩინოვნიკმაც.

„გორის დაჭრილების დროებით ლოშპიტლისთვის არის დანიშნული კამისარიო. ჯ—ძე; ამას თავის საქმე დაუგდია და ქუჩა-ქუჩა დარბის, ატყობინებს ხალხსა, რომ ამა-და-ამ რიცხვში ესა-და-ეს ლოშპიტალი იცემაო, ვისგანაც იცის აუსვამს რასმეს; ცდილობს იმას დაანარჩუნოს ეს ფოდრიადი. ჩვენ ცხადათ ვიცით, ამას არა შეუძლიან-რა ამ საქმეში; მაგრამ ხალხს აჯერებს. ამასთანავე აქაური უპ-

რავის ჩლენი მოზეზრებული ჰყავს „სპრავოჩნი“ ფასი მეტი დაუწერონ. არ ვიცი, ამას რათ უნდა! ფოდრადჩიკმა რომ ითხოვოს, კიდევ სხვა არის; მაგრამ ამასაც ამბობენ, იმიტომ ცდილობსო, რომ ფოდრადჩიკის სანახევროთ ესეც ინახამს კომბოსტოს და ქარხალსაო...

„თუ ამისთანა ჩინოვნიკები ბევრი ეყოლება ავათმყოფებს, ძალიანაც დამიძლებიან.

„იქნება ეს როდისმე გაიგოს, ვისიც ჯერ არს; მაგრამ როდის? ნათქვამია: „მინამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო.“

## „დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 1 დეკემბერს. ზოგიერთმა მწერლობამ „დროებაში“ წლეულს ცოტა არ იყო გაამხნევა ჩვენი ადგილობრივი პოლიცია, რომელსაც აქამდის ეძინა ღრმა ძილით, და ფხიზელის ღამე ყარაულობით მოსპო ყოველ-გვარი ავაზაკობა. მაგრამ, საუბედუროთ, ბოლო ვერ გაატანა ამ სასიამოვნო იმედმა. პრისტავს, მისს თანაშემწეს და დესეტნიკებს რომ ჰკითხოთ, ისინი მრთელ ღამეს დაიარებიან და ჰყარაულობენ ქალაქს; მაგრამ რომ ნამდვილათ გამოვიკვლიოთ საქმე, მაშინ დავინახავთ, რომ ეს იმათი ლაპარაკი შეადგენს მხოლოთ ბაქიაობას.

ამას ვამტკიცებ იმით, რომ ამ დღეებში თელავის ორ ქუჩაზედ ერთი სახლიდგან და ორი დუქნიდგან უკანასკნელი 1,600 მანეთამდის მოიპარეს ფულად და სხვა-და-სხვა ნივთები, და არა თუ პოლიციის წევრებს გაეგოთ ეს დანაშაულობა იმ ღამესვე და მიეღოთ ღონის-ძიება დამნაშაობის აღმოჩენისათვის, არამედ არ შეუტყვიათ ეს ამბავი მეორე დღის საღამომდისაც,—ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით ქურდებისაგან დაზარალებულმა პირებმა შეატყობინეს; მაგრამ პოლიციამ ეხლაც ის შემწეობა მისცა ამ უბედურებს, რაც მე მივეც.

ნეტავი ვიცოდე, სხვა რა დანიშნულება აქვთ ამ პოლიციის ხალხსა, თუ არ ამ გვარებში დახმარება ქურდობით და სხვა ავაზაკობით დაბრიყვებულის ხალხისა! მტყობათ, რომ ღამე სიარულისა ან ეშინიანთ ან ეზარებათ, ამისათვის რომ მანამ აცივდებოდა, მე ჩემის თვალით მინახავს, რომ დესეტნიკებს ბულვარის გრძელ სკამებზედ გაეტარებინოთ მრთელი ღამეები ტკბილი და შეურყეველი ძილითა, შემკობილითა წყნარის ნიავის მობერვით... რომ ჰკითხოს ვინმე ამ ჩვენს პოლიციას—თუ რისთვის იღებენ ისინი ჯამაგირებს, ან რა სარგებლობა მოაქვსთ ქალაქისათვის, ნეტავი ვიცოდე რით იმართლებენ თავსა? მგონია, რომ ვერასფრით;—და ყოველს ნაბიჯზედ ნაკლულევანებას უპოვნიან: გზები დაუწმენდავი, ბაზარი ტალახით სავსე, საყასპოში საზარელი სიმყრალე, ბოგირები დანგრეული, წყაროები გაფუჭებული, ქუჩები ნაგვით სავსე და ეკკლესიების გარეშემო ქვა-ღორღით სავსე!

წვრილმალი პოლიციის წევრები ხომ ტყუიან და ტყუიან; მაგრამ არც ამათი მოთავე ბრძანდება ძალიან ფხიზელი, ამისათვის რომ, თუ თითონ ეზარება სიარული ქუჩებში და თავის თვალით ნახვა ზემოაღწერილის ჩვენი ქალაქის ნაკლულევანებისა, ჩვენგან ხომ თითქმის ყოველ დღე ესმის ამაზედ საჩივარი და განა არ შეიძლება, რომ თავის ხელ-ქვევითებს მაინც უბრძანოს და დააკმაყოფილოს ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილება?

ვირ-თაგვა

# უცხო ქვეყნები

## საბერძნეთი

საბერძნეთიც სერბიასავით იქცევა ამ უკანასკნელ დროს: როგორც ადრე სერბია, ისე ესეც აცხადებს და ჰყვირის, რომ ოსმალეთს ომი უნდა გამოუცხადოვო, მაგრამ ჯერ კი საქმე მარტო ამ გამოცხადებითა და ყვირილით თავდება: ომი დღესაც არ გამოუცხადებია.

ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან, რომ ამ დღეებში რუსეთის იმპერატორთან გაგზავნა საბერძნეთმა თავის დანდობილი ელჩიო და ამის პირით შეატყობინა იმასაო, რომ საბერძნეთმაც უეჭველად ომი უნდა გამოუცხადოს ოსმალეთსაო, რადგან ხალხი თხოულობს ამასაო და მმართებლობა წინ ვერ აღუდგება ხალხის სურვილსაო.

ამბობენ აგრეთვე, რომ ფივაში 50,000 კაცამდინ ჰყავს საბერძნეთს საომრად დამზადებული და მალე კაროლი ზიორგი იქ უნდა წავიდეს თავის ჯარების დასახედავათაო.

## ოსმალეთი

ერთს ინგლისურს გაზეთში იწერებიან სტამბოლიდამ, რომ მინისტრების გადაწყვეტილება გამოვიდაო, რომ ოსმალოს ქვეშევრდომ ქრისტიანებს ისეთივე უფლება მიენიჭებათ ღუბერნატორისა და სხვა თანამდებობის დაჭერისა, როგორც დღემდინ მაჰმადიანებს ჰქონდათო.

— ამბობენ, ოსმალეთის მმართებლობამ ნება მისცა ინგლისის ფლოტს, რომ დარდანელის წყალში შევიდეს და ამისათვის ის არა სთხოვს ინგლისსაო, რომ ამ ომში ერთად მოქმედების კავშირი შეკრას ოსმალეთთანო.

## წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! ერთს გარემოებაზე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო და იმედი მაქვს, ეს საგანი იმათ ღირს, რომ ამას რამდენიმე ალაგი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

მე მოგახსენებთ ჩვენს მოსამსახურე ბიჭებზე და იმ საძაგელ დამოკიდებულებაზე, რომელშიაც ეს ბიჭები და იმათი ბატონები იმყოფებიან ჩვენი ქალაქის დალალებისაგან.

თითო ბიჭის შოვნისათვის დალალები ამ ბიჭისაგან ცალკე იღებენ ფულს და ბატონისაგან ცალკე, სულ 2 მან. და 60 კაპეიკს.

მაგრამ ეს არაფერი; საქმე იმაშია, რომ დალალები განგებ ცდილობენ, რომ ბატონს ისეთი ბიჭი გაურიგონ, რომელიც ამ ბატონთან ვერ მორიგდება და ან რომელთანაც ბატონი ვერ მორიგდება.

აი ამათ მოუთავსებლობაზედ არის დამყარებული ჩვენი დალალების ანგარიში და სარგებლობა. ბიჭი უადგილოთ დარჩა, იმასთან მიდის და სთხოვს ადგილის შოვნას; აგრეთვე უბიჭო ბატონიც იმას მიმართავს. ამასაც ეს უნდა, რადგან ახლა ხელ-ახლად იღებს 2 მან. და 60 კაპ. თავის სადალალოს. მაგრამ მალე ბატონიცა და ბიჭიც იმავე მდგომარეობაში ვარდებიან, როგორც ადრე იყვნენ; და მუდამ ასეა, მუდამ ასე სარგებლობენ და ბატონი და მოსამსახურეები კი ისევ ძველს ცეცხლში ვარდებიან.

ამის გამო ურიგო არ იქნება, რომ ვინმე მადლიანი კაცი გამოჩნდებოდეს ჩვენს ქალაქში და გახსნიდეს იმისთანა კანტორას, რომელიც უცხო ქვეყნებისა და რუსეთის ყველა დიდ ქალაქებში არსებობს, და რომლის დანიშნულება ის იქნება, რომ ყოველ ხეირიან ბატონს ხეირიანი მოსამსახურე უშოვნოს და საზოგადოთ ისეთი ბატონ-მოსამსახურე შეჰყაროს ერთად, რომელთაც ერთმანეთთან მოთავსება, ერთმანეთთან კაცურად ცხოვრება შეეძლოსთ.

ამისთანა კანტორა, უეჭველია, თვითონაც ისარგებლებს და საზოგადოებასაც არა-მცირედ სარგებლობას მოუტანს.

ქალაქელი

# ნარევი

სულთანს მოუხმია, 30 ნოემბერს, თავის სასახლეში ორი უმცროსი ვაჟი ახლად პლევნოშ

დატყვევებულის ჩინებულის ოსმან-ფაშისა; ერთი 9 წლისაა თურმე ეს ვაჟი და მეორე 7 წლისა. სულთან აბდულ-ჰამიდი დიდხანს ელაპარაკა თურმე ამათ, მოეფერა, საჩუქრები მისცა და ისე გამოისტუმრა. ოსმან-ფაშის ცოლს კი ძვირფასი ბრილიანტის ხამაჯე გაუგზავნა საჩუქრათაო.

სტამბოლში მოუტანიათ ამ დღეებში 4 ზარბაზანი, რომელიც ოსმან-ფაშას პლევნოსთან ბრძოლის დროს წაურთმევია რუსებისათვის.

*
* *

შემდეგ სანარევო ამბავს გვწერენ კახეთიდამ:

„ერთი ოთხმოცის წლის კაცი მივიდა თავის ნათესავს კაცთან, რომელსაც ჰყავს გასათხოვარი 16 წლის ქალი და სთხოვა ეს ქალი ცოლად! ბუნებითმა სისულელემ თუ მოხუცებულებამ გააბედვინა ის, არ ვიცი; მხოლოდ ეს კი ნამდვილია, რომ თხოვნისა-თანავე ნიშნათ მიუტანა ხუთი თუმანი ფული, ერთი ფარჩის კაბა, ხმელი ხილი და თავისი ოთხი ორდენი ატესტატებით!

„ქალის მამამ ერთბაშათ პასუხი არ მისცა გადაწყვეტილი და რომ ეს მოტანილი ნიშანი არ წასვლოდა ხელიდგან, ტყუილის იმედიანის სიტყვებით დააჯერა მოხუცი, რომ ნიშნობა და ჯვარის-წერა შესრულდებოდა მეორეს დღეს.

„მეორეს დღეს მივიდა მოხუცი-სასიძო სასიმამროსთან და უკუ-ქცეულ იქმნა მისგან ლანძღვით. ბოლოს, როდესაც იმედ-გადაწყვეტილმა კავალერმა მოუგზავნა ქალის მამას შუა-კაცი და სთხოვა თავის მოტანილი ფული და სხვა, იმან უპასუხა, რომ ესე ყოველივე ჩემთან არის გირაოთ ოც თუმანშიო და დაუბრუნებ მხოლოდ მაშინ, როდესაც მომიტანს ამ ფულსაო!.

„ის მოხუცი სირცხვილით ხმას ვეღარ იღებს და ჩვენი ღარიბი ქალი კი ცოტაოდენს მზითევს იმზადებს ტყუილის ნიშნით....“

## ტფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათიდან.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., ქიურჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგან ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცევი და ასატუროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულისთვის.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათფმყოფი., ქიურჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი — თვალის ავათმყოფობისა.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მ ი ღ ე ბ ა ა ვ ა თ მ ყ ო ფ ი ქ ა ლ ე ბ ი ს ა და ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი ს.

ქ ა ლ ი ს ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ — დოქტორი ო ნ ა ნ ო ვ ი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ — დოქტორი რ ე მ ე რ ტ ი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12მდინ — დოქტორი ა ლ ბ ა ნ უ ს ი.

ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ო ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო ბ ი ს თ ვ ი ს:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ დკვირაობით 10-დამ 11-მდი — დოქტორი უ შ ა კ ო ვ ი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება. რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ, ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში — 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ტაქსა ბირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დ რ ო ე ბ ი თ ი ტ ა ქ ს ა:

| | ფაეტონის | | დროჟკის | |
|---|---|---|---|---|
| ერთი გზა . . . . | 40 | კაპ. | 25 | კაპ. |
| საათი . . . . . | 80 | „ | 55 | „ |
| ქალაქიდამ — ნავთლუღს | 80 | „ | 50 | „ |
| — მუშტაიდამდინ — | 60 | „ | 45 | „ |
| — მუშტ. და უკან 1/2 საათი გაჩერება 1 მან. | 20 | „ | 90 | „ |
| რკ. გზიდამ ნავთ. — 2 „ | — | „ | 1მან.50 | „ |
| — დამოქნამდინ — 1 „ | 50 | „ | 1 „ — | „ |
| — ქალაქ. ყველგან 1 „ | — | „ | — „ 70 | „ |
| რკ. გზამდინ ქალაქ. — „ | 80 | „ | — „ 50 | „ |
| — ნავთლუღიდამ 1 „ | 50 | „ | 1 „ — | „ |
| რკინის გზამდინ და უკან — — — 1 „ | 30 | „ | — „ 90 | „ |

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ა). ოთ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ბ). ნაშუაღამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის — ერთი გზა — 60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის — 40 კაპ. და საათის — 80 კაპ.


# განცხადებანი

## გაკვეთილები

ფრანცუზულის ენისა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. გრამატიკა და ლაპარაკი ფრანცუზულს ენზაედ.

მსურველს შეუძლიან მიმართოს ქუთაისში, უფ. ზაქარია ჭანდელაკის სადგომში.

(3—2)


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აბ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| აბ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ., კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის აქეთ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 28 გიორ. | | |
| ერთი ჰანეთი ლირს: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 255 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7 1/2 | – |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | 50 |
| მოგებიანი (პირველის [illegible] | 234 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 228 | 50 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის 5 1/2) | 85 | 25 |
| მოსკოვის (5 [illegible]). . . | 85 | 50 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკაზის და მერკური [illegible] | 225 | — |
| პიროვ. საზღვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 2 ქრისტიშ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 2 | — |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 80 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 8 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 50 |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | — |
| — თარაქამისა ფთ. . | 3 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 10 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 15 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 60 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 12 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 10 | — |
| — ფხვნილი ფუთი . . | 8 | — |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| ოქრო 1/2 იმპერიალი. . | 8 | 25 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Декабря 1877 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი